# 41 ქართული ოცნება

## განვითარება ყველა რეგიონს

# ძვირფასო ქობულეთელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას. „განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი ქობულეთის მერობის კანდიდატისა და ქობულეთის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს ქობულეთის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს ქობულეთი და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

***„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო***

# ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ

## ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო.** ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი, საშუალოდ, 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან,** შესაბამისად ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

### ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ

**გასული წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ ქობულეთის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა.** იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი – თუ 2013 წელს ქობულეთის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები 24 მლნ 918 ათასი ლარი იყო, 2021 წლისთვის საპროგნოზოდ – 35 მლნ 102 ათასი ლარია. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიც – 2013 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა, გადასახადების ნაწილში, შემოსავლების სახით 1 მლნ 200 ათასი ლარი მიიღო, 2021 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი უკვე 16 მლნ ლარს შეადგენს.

### ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ

**სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია.** „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მილიონიდან, 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი – 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

**ქობულეთის მუნიციპალიტეტში,** საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამით **„ახალგაზრდა მეწარმე“,** 2018-2021 წლებში, მუნიციპალიტეტში მხარდაჭერილია 1 პროექტი (ინვესტიცია 149 209 ლარი, სახელმწიფოს თანამონაწილეობა 59 671 ლარი). პროგრამით **„დანერგე მომავალი“,** 2015-2021 წლებში, 71 ჰექტარზე განხორციელდა 16 პროექტი (ჯამურად 1 628 475 ლარი). **აგროდაზღვევის პროგრამით**, 2014-2021 წლებში, დაზღვეულია ჯამურად, 4 518 ჰექტარი ფართობი (მოსავლის ღირებულება 32 935 910 ლარი), რითაც 7 356-მა ბენეფიციარმა ისარგებლა. ფერმერებს სტიქიით მიყენებული ზარალი 3 242 494 ლარით აუნაზღაურდათ. **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის პროგრამით** დღეს მოქმედებს 23 კოოპერატივი (163 მეპაიე, კაპიტალი 5 980 ლარი). **შეღავათიანი აგროკრედიტით,** 2013-2021 წლებში, ისარგებლა 49 უნიკალურმა ბენეფიციარმა და განხორციელდა ჯამურად 18 862 165 ლარის პროექტები (თანამონაწილეობა 2 564 580 ლარი). პროგრამით **მაღალეფექტური მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების ხელშეწყობა,** 2013-2021 წლებში, ჯამურად 104,9 ჰექტარზე გაშენდა მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ბაღები (648 811 ლარი, თანამონაწილეობა 350 908 ლარი, 509 ბენეფიციარი). 2012-2021 წლებში, **სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობის** პროგრამით, ჯამურად 2 392 365 ლარის, 2 232 ერთეული სხვადასხვა სახის მცირე მექანიზაციის ტექნუკური საშუალებები გაიცა (თანამონაწილეობა 1 805 811 ლარი). **სასათბურე მეურნეობების განვითარების ხელშეწყობის** პროგრამით, 2013-2021 წლებში, ბენეფიციარებს, ჯამურად 374 357 ლარის 138 სასათბურე მეურნეობა გადაეცათ (თანამონაწილეობა 272 550 ლარი). **აგრომომსახურეობის განვითარების ხელშეწყობის** პროგრამით, 2020-2021 წლებში, დაიხნა 2 087 ჰა სასოფლო-სამეურნეო ფართობები (388 390 ლარი). ბენეფიციარებს, 2019-2021 წლებში, **მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობის** პროგრამით, ჯამურად 33 000 ლარის 330 ფუტკრის ოჯახი გადაეცათ. **სამელიორაციო სამუშაოებზე**, 2013-2020 წლებში, დაიხარჯა 2 187 980 ლარი. დაშრობილი მიწის ფართობი, 0-დან (2013 წელს) 595 ჰექტრამდე (2020 წელს) გაიზარდა.

სახელმწიფომ **აზიური ფაროსანას** საწინააღმდეგოდ, ქობულეთის მუნიციპალიტეტში, ცივი შესხურებით წლიურად საშუალოდ დაამუშავა 1402,5 ჰექტარი. შედეგად მისი რაოდენობა საგრძნობლად შემცირებულია. დღეს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საქართველოს გამოცდილებას საერთაშორისო ექსპერტები სამაგალითოდ აღიარებენ.

- **მომდევნო წლებში გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც რამდენიმე ასეული ახალი სამუშაო ადგილის შექმნასა და სოფლად დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;**
- **ქვეყნის მასშტაბით 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მილიონი ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება;**

### ᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

**მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.**

სახელმწიფო პროგრამით **„აწარმოე საქართველოში“,** ქობულეთის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 1 საწარმო (432 000 ლარი, დასაქმებულია 18 ადამიანი). ამავე **პროგრამის სასტუმროს კომპონენტში** ხელი შეეწყო 3 სასტუმროს მშენებლობას (ჯამურად 15 872 244 ლარი შეადგინა, დასაქმდა 139 ადამიანი, ქობულეთს 80 ახალი სასტუმრო ნომერი შეემატა). **მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით,** „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 726 052 ლარის გრანტი გაიცა. განხორციელდა 963 913 ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 79 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით – 55, ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად 24 პროექტი).

2020 წელს გაერო-ს განვითარების პროგრამა UNDP–ის და აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ა(ა)იპ ბათუმის ბიზნეს ინკუბატორის (BBI) მიერ განხორციელდა მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდაჭერის პროექტი **„იდეებიდან წარმატებამდე“,** რომლის მიზანია სოფლად მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. ქობულეთის მუნიციპალიტეტში, პროექტით ისარგებლა 13-მა ბენეფიციარმა (საერთო ღირებულება 221 793 ლარი).

### ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲐ

**საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის უმთავრესი მიზანია ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება და ენერგოდამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება. ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებასა და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება.**

**2013-2021 წლებში, აჭარის რეგიონში 6 ჰიდროელექტროსადგური აშენდა** (კინტრიშა ჰესი, ხელვაჩაური ჰესი 1, შუახევი ჰესი, სკურდიდი ჰესი, კირნათი ჰესი და სხალთა ჰესი). მათი დადგმული სიმძლავრე ჯამურად 269 მგვტ-ია, წლიური გამომუშავება 817 მლნ კვტ/სთ, ჯამური ინვესტიცია 781 მლნ აშშ დოლარი. **მშენებლობის, ლიცენზირების ან კვლევის ეტაპზეა 6 ჰესი: კირნათი ჰესი** – დადგმ. სიმძლავრე 51 მგვტ, 90 000 000 დოლარი; **სკურდიდი3 ჰესი** – დადგმ. სიმძლავრე 1,45 მგვტ, 1,34 მლნ აშშ დოლარი; **სკურჰესი** – დადგმ. სიმძლავრე 1,98 მგვტ, 3,2 მლნ აშშ დოლარი; **გოგინაური ჰესი** – დადგმ. სიმძლავრე 4,72 მგვტ, 5 420 000 აშშ დოლარი; **აკავრეთა ჰესი** – დადგმ. სიმძლავრე 20 მგვტ, 35 მლნ აშშ დოლარი; **შევაბური ჰესი** – დადგმ. სიმძლავრე 1,96 მგვტ, 3 მლნ აშშ დოლარი; **ხოხნისწყალი 1** – დადგმ. სიმძლავრე 1.08 მგვტ, 1.66 მლნ აშშ დოლარი; **ხოხნისწყალი 2** – დადგმ. სიმძლავრე – 1.55 მგვტ, 2.1 მლნ.აშშ დოლარი; **ხოხნისწყალი 3** – დადგმ.სიმძლავრე – 1.99 მგვტ, 2.7 მლნ აშშ დოლარი.

2013-2017 წლებში, ქობულეთში, 1781 აბონენტს დაუმონტაჟდა **ელექტროენერგიის ინდივიდუალური მრიცხველი**. 2013-2021 წლებში გაზიფიცირებულია ჯამურად 10 546 აბონენტი. 2023 წელს დაგეგმილია სოფელ ჭახათის გაზიფიცირება (95 ოჯახი).

### ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘ

**„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან 2019 წელს (პანდემიამდე) 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.**

**ტურიზმის განვითარების მიზნით,** ხორციელდება ტურისტული მარშრუტების კვლევა და რესურსების სრული ინვენტარიზაცია. 2015 წლიდან აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი ახორციელებს იდენტიფიცირებული მარშრუტების, საოჯახო სასტუმრო სახლებისა და ღვინის მარნების მარკირებას. 2014 წელს რეაბილიტირდა **მტირალას ეროვნული პარკის** ვიზიტორთა ცენტრი, აშენდა ფრინველებზე დაკვირვების კოშკურა; 2016-2018 წლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა ვიზიტორთა თავშესაფრებსა და ადმინისტრაციის შენობას (სულ 82 469 ლარი); 2018-2019 წლებში მოეწყო თოკების პარკი (141 700 ლარი). 2017 წელს აშენდა **კინტრიშისა და ქობულეთის დაცული ტერიტორიების** ადმინისტრაციისა და ვიზიტორთა ცენტრის შენობები (1 626 390 ლარი).

2019 წლიდან აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი ახორციელებს ინფრასტრუქტურულ პროექტებს. 2020 წელს დაიგეგმა ქობულეთის დაცული ტერიტორიის, ისპანის ინფრასტრუქტურული განვითარების მიზნით, საპროექტო დოკუმენტის მომზადება; 2019-2021 წ.წ. მიმდინარეობს **ტურისტული პოტენციალის კვლევა** (5 მუნიციპალიტეტის სოფლების, ხეობებისა და

მთების გარდამავალი, ქსელური მარშრუტების იდენტიფიცირება – სულ 29 990 ლარი), დაგეგმილია მთა კიკიბოს კვლევა. 2021 წელს დაიგეგმა **კულინარიული ექსპედიცია** – კვლევა მოიცავს აჭარის ა/რ ხუთივე მუნიციპალიტეტს, აღმოაჩენს მივიწყებულ კერძებსა და ტრადიციებს, რასაც ერთ სახელმძღვანელოში გააერთიანებს. 2021 წლის ოქტომბერში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის 5 სოფელში არსებული საოჯახო სასტუმრო სახლის მინიმუმ 50 თანამშრომლის გადამზადება. 2021 წლის ბოლოს შეიქმნება **გიდების სახელმძღვანელო,** რომელიც გააერთიანებს ქობულეთის ახალ, 7 თემატურ ტურისტულ მარშრუტს.

- **მომავალში „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის ქვეყანას 10 მილიონი მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;**
- **2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს.**

## გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარების თვალსაზრისით, არაერთი რეფორმა გატარდა.** ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისთვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.

2021 წელს, **პირველად საქართველოს ისტორიაში,** საქართველოს 4 დაცული ტერიტორია: მტირალასა და კოლხეთის ეროვნული პარკები და კინტრიშისა და ქობულეთის დაცული ტერიტორიები „კოლხური ტყეებისა და ჭარბტენიანი ტერიტორიების“ სახელით, UNESCO-ს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის ნუსხაში შევიდა. გადაწყვეტილება ჩინეთის ქალაქ ფუჟოუში, UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 44-ე სესიაზე მიიღეს. მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ტერიტორიები მდებარეობს საქართველოში, აჭარის ა/რესპუბლიკაში, გურიასა და სამეგრელო-ზემო სვანეთში.

მუნიციპალიტეტში ჩატარდა **ტყის ინვენტარიზაცია,** მზადდება ტყის მართვის გეგმა. მომზადება. 2013-2020 წლებში, ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით, მოსახლეობაზე გაცემულია 57 ათასი კუბური მეტრი **მერქნული რესურსი.**

გარემოს ეროვნული სააგენტო მუდმივად, უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს **ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებებს და** ამზადებს გაფრთხილებებს მოსალოდნელი სტიქიური მოვლენების შესახებ. უწყვეტად ხორციელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგი, მუშავდება რეკომენდაციები პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით;

**სამომავლოდ** გაფართოვდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგისა და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემები; გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ; გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს; ხელისუფლების გეგმით, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მლნ ჰექტარს გაუთანაბრდება.

## ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

**2022-2023 წლებში, ქობულეთის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება-განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.**

ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ცეცხლაურში, **აშენდა ახალი ნაგავსაყრელი** (6 987 000 ევრო, ფართობი 40 ჰა), რომელიც აჭარის ა/რ ყველა მუნიციპალიტეტს და გურიის რეგიონს მოემსახურება.

2013-2020 წლებში, ქობულეთში, **ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და ხელოვნური ნაგებობების** მშენებლობა-რეაბილიტაციასა და მოვლა-შენახვაზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან ჯამურად 83 406 539 ლარი დაიხარჯა. 214,615 კმ გზის მშენებლობა-რეაბილიტაციაზე 55 752 155 ლარი დაიხარჯა. ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა დაფინანსდა 11 063 916 ლარით: აშენდა 390 საყრდენი და დამცავი კედლები, ასევე 45 ახალი ხიდი, ხოლო რეაბილიტაცია ჩაუტარდა 13 არსებულ ხიდს. გზების მოვლა-შენახვაზე დახარულია 16 522 684 ლარი.

ხელისუფლების გეგმით, 2021-2025 წლებში, მუნიციპალიტეტის **ინტერნეტით უზრუნველყოფის** მიზნით, იგეგმება მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა. შედეგად, 21 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 5 216 ოჯახს მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომის საშუალება ექნება.

ხელისუფლების გეგმით, მუნიციპალიტეტის **წყალმომარაგების** გაუმჯობესების მიზნით, დამატებით 28,7 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯება. ქობულეთში უკვე მიმდინარეობს ან იგეგმება შემდეგი სოფლების წყალმომარაგების პროექტები: ცეცხლაური, ოჩხამური, ჯიხანჯური, მუხაესტატე, ქვედა კვირიკე (სულ 955 ოჯახი).

**2021-2022 წლებისთვის, ქობულეთის მუნიციპალიტეტში, დაგეგმილია ან უკვე განხორციელების ფაზაშია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:**

- ქ. ქობულეთი, ყოფილი სასტუმრო „კოლხეთის“ მიმდებარედ, ზღვაზე გადასასვლელის კეთილმოწყობა – 73 121 ლ;
- ქ. ქობულეთი, ვერულიძის ქ. კეთილმოწყობა – 260 498 ლ;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის გზებზე ბეტონის საფარის მოწყობა – 2 765 298 ლ;
- დაბა ჩაქვი, ბეჟანიძის ქ. რეაბილიტაცია – 355 330 ლ;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსაცდელების მოწყობის სამუშაოები – 53 570 ლარი; მოწყობა/რეაბილიტაცია – 70 827 ლ;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გარეგანათების მოწყობა – 1 058 140 ლ;
- ქ. ქობულეთი, ეზოს/სკვერების კეთილმოწყობა: გელაურის დას. მრავალბინიანი სახლები (ჩაის ფაბრიკის) – 1 008 824 ლ; გელაურის დას. მრავალბინიანი სახლები (ვილარის) – 241 158 ლ; ჩოლოქის დას. ხულოს ქ. მრავალბინიანი სახლები – 1 140 174 ლ; რუსთაველის ქ. მრავალბინიანი სახლები (140$^{ბ}$, 140$^{ე}$, 140$^{დ}$) – 300 000 ლ; რუსთაველის ქ. (№162) და კომახიძის ქ. (№15 და №17 ) მრავალბინიანი სახლები – 300 000 ლ;
- დაბა ჩაქვი, ეზოს/სკვერების კეთილმოწყობა: თამარ მეფის ქ №1-№3 მრავალბინიანი სახლები – 161 237 ლ; თამარ მეფის ქ. №5 – №5$^{ა}$ მრავალბინიანი სახლები – 228 042 ლ;
- წყლის სათავე ნაგებობის მშენებლობა, წყალსადენის ქსელის რეაბილიტაცია – 570 607 ლ;
- ქ.ქობულეთი, ფიჭვნარის საკანალიზაციო მაგისტრალური ხაზის მოწყობა – 431 644 ლ;
- ქ. ქობულეთი, მრავალბინიანი სახლების ეზოებში ახალი ცენტრალური საკანალიზაციო ხაზის მოწყობა – 90 008 ლ;
- №2 საკანალიზაციო სატუმბი სადგურის რეაბილიტაცია – 160 000 ლ;
- ქ. ქობულეთის სანაპირო ზოლში, პარკის მოწყობა (II ეტაპი) – 2 702 072 ლ;
- ქ. ქობულეთი, სკვერების მოწყობა: ვერულიძის ქ.-ის პირდაპირ – 206 472 ლ; გურამიშვილის ქ. – 142 264 ლ; კომახიძის ქ. – 159 527 ლ; რუსთაველის №215 – 165 426 ლ; რუსთაველის №280-ის პირდაპირ – 243 715 ლ; აღმაშენებელის №99 – 56 992 ლ; რუსთაველის ქ. ეკლესიასთან – 51 361 ლ;
- დაბა ჩაქვი, ბუკნარის ცენტრში, სკვერის მოწყობა – 498 137 ლ;
- სამედიცინო პუნქტების მოწყობა/რეაბილიტაცია – 294 237 ლ;
- ცენტრის კეთილმოწყობა სოფლებში: ქობულეთი – 168 705 ლ; მუხაესტატე – 299 606 ლ; ხალა – 228 156 ლ; ლეღვას – 181 669 ლ;
- ცენტრისა და სკვერის კეთილმოწყობა სოფლებში: ალამბრა – 498 051 ლ; აჭყვისთავი – 236 105 ლ; ზენითი – 128 407 ლ; კვირიკე – 390 054 ლ;
- საბავშვო ბაღების მოწყობა სოფლებში: ლეღვა – 1 108 268 ლ ; ხალა – 1 101 047 ლ; საჩინო – 1 512 812 ლ;
- საბავშვო ბაღების მშენებლობა: ქ. ქობულეთი №1 ბაღი – 679 807 ლ; სოფლებში: გვარა – 200 000 ლ; ქვედა კვირიკე – 200 000 ლ; ალამბარი – 540 881 ლ;
- ქ. ქობულეთი, სპორტსკოლის ფეხბურთის მოედნის რეაბილიტაცია – 157 482 ლ;
- ქ. ქობულეთი, ცენტრალურ პარკში სტადიონის მოწყობა და ჭავჭავაძის ქ.-ზე არსებული სტადიონის რეაბილიტაცია – 202 735 ლ;
- დაბა ოჩხამური, სპორტული მოედნის მოწყობა – 177 349 ლ;
- სოფ. ქაქუთში არსებული მინი სტადიონის დემონტაჟი და ახალის მოწყობა – 66 890 ლ;
- სოფ. ლეღვაში (ცხრაფონა) მინისტადიონის მოწყობა – 159 426 ლ;
- ხუცუბანში, თეთროსნის დასახლებაში, სტადიონის მოწყობა – 108 642 ლ;
- ქ. ქობულეთი, თავისუფლების ქ. კეთილმოწყობა – 397 885 ლ;
- ქ. ქობულეთი, 4 სტადიონის (რუსთაველის ქ. №166$^{ა}$, №162$^{დ}$, №140 და ლესელიძის ქ.) რეაბილიტაცია – 87 730 ლ; „მტს“-ის დასახლებაში, მინისტადიონის მოწყობა – 163 387 ლ;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტში სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები – 4 200 000 ლ;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გადახურვა – 1 300 000 ლ.

# ლევან ზოიძე: „მჯერა, ჩემს ხალხთან ერთად შევქმნი ქობულეთის უკეთეს მომავალს!“

**ლევან ზოიძეს ქობულეთში განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება. ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე მნიშვნელოვან პოზიციებზე იყო, ბოლოს კი, ქობულეთის მერის მოადგილეც გახლდათ. ქობულეთში მის ოჯახსაც კარგად იცნობენ. იციან, რომ საკრებულოს დეპუტატის შვილი და აჭარის მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის ძმაა.**

**ქობულეთში დაბადებულ-გაზრდილმა და მაცხოვრებელმა, კარგად იცის, რა სჭირდებათ ქობულეთელებს და რას ელიან მერისგან. მათი კეთილდღეობისთვის თავდაუზოგავად აპირებს შრომას. ამბობს, რომ მისთვის ქობულეთის მერობის კანდიდატობა უდიდესი პატივი და პასუხისმგებლობაა. ფიქრობს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ არჩევანი მასზე საერთო ღირებულებების გამო შეაჩერა. სხვათაშორის, ღირებულებების თანხვედრა ერთ-ერთი უპირველესი მიზეზია, რის გამოც თავადაც ამ გუნდის წევრია.**

**ქობულეთის მერობის კანდიდატი „ქართული ოცნებიდან“ ლევან ზოიძე გვიამბობს, რა ემოციური ბმა აქვს ამ მუნიციპალიტეტთან, როგორ გაატარა ბავშვობა ალამბარში, რატომ გადაწყვიტა ეკონომისტობა, რატომ გააქტიურდა პოლიტიკურად და რა გეგმები აქვს მშობლიურ ქობულეთთან დაკავშირებით.**

– ქობულეთში დავიბადე და მთელი ბავშვობა სოფელ ალამბარში გავატარე. ოჯახში სამნი ვიყავით, მე და ჩემი ორი და. დიდი ეზო, რომელიც ჩვენს სახლს აკრავს, მეზობლად მცხოვრები ბავშვების თავშეყრისა და ჟრიამულის მთავარი ადგილი იყო. ძალიან მშვიდი და მორიდებული ბავშვი ვიყავი და ამის გამო, ხშირად სხვები აშავებდნენ – მე ვისჯებოდი. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ძალიან საინტერესო ბავშვობა გვქონდა. სავსე ემოციებით და თავგადასავლებით. სწავლა ჩვენს ოჯახში ყოველთვის მთავარი პრიორიტეტი იყო. სამივე შვილი, ყველა ჯილდოს მშობლებისგან სწორედ სწავლის შესაბამისად ვიმსახურებდით. მოკრძალებული და ძალიან მშვიდი მამა, რომელიც შვილებს ყველაზე მეტად გვანებივრებდა, ყოველთვის, როცა საქმე ჩვენს სწავლა-განათლებას ეხებოდა, საოცრად მკაცრი და შეუვალი ხდებოდა. სხვა მხრივ კი, მშობლები სიმკაცრით არ გამოირჩეოდნენ. ყოველთვის გვაძლევდნენ არჩევანის თავისუფლებას, მაგრამ შემდეგ პასუხისმგებლობაც გააზრებული გვქონდა.

**– როგორც ჩანს, თქვენს აღზრდაში განსაკუთრებული როლი სწორედ მამამ ითამაშა?**

– დიდ ოჯახში გავიზარდე, აღზრდაში ყველას თავისი როლი ჰქონდა. მათ შორის დედა, ბებია და მამა ალბათ უფრო გამოკვეთილი იყო. ადამიანური ფასეულობები, რომელიც ყოველთვის უმთავრესია ჩემთვის, მნიშვნელოვან წილად ბებიისა და დედის კვალია, მამა კი ყოველთვის ზოგადად ცხოვრების გიდი იყო და დღემდე ასეა. სწორედ მას მიუძღვის დიდი როლი ჩემი პროფესიის არჩევაში. ვფიქრობ, ჩვენში ყოველთვის ჩვენი ოჯახის ანარეკლია და ღირსეული კაცის შვილობა – ცხოვრების საჩუქარი! „ვისი შვილი ხარ?“– ჩვენს ქვეყანაში და იმ ადგილას, სადაც მე დავიბადე, ამ შეკითხვაზე პასუხი, პიროვნებაზე წარმოდგენის შექმნის, სულ რამდენიმე წუთიანი ტესტია. კაცის ერთ კონკრეტულ გარემოში ცნობადობა, არ განსაზღვრავს მის მთავარ მიღწევას. კაცი სიტყვით ფასობს ჩემთვის, რამდენად პატივს სცემენ სოფლად თუ ბარში. მე კი ნამდვილად ამაყი ვარ, მამას ყველა ეს ღირსება ერთად აქვს. ქობულეთში ყველა იცნობს ავთოს! ჰოდა მეც შეკითხვაზე „ვისი შვილი ხარ?“ ყოველთვის ყველაზე მეტად მეჩქარება პასუხი. და არა აქვს მნიშვნელობა არჩევნების გარეშე, არჩევნებმადე თუ შემდეგ, ამაზე უფრო სასიამოვნო განცდა არაფერია. ქობულეთში იცნობენ ჩემს დასაც. თინათინ ზოიძე აჭარის მთავრობის ადმინისტრაციის უფროსია. მეამაყება, რომ ჩემი ოჯახის წევრები, ღირსეული ადამიანები და საქმის პროფესიონალები არიან.

**– სხვადასხვა დროს სხვადასხვა პოზიციაზე იყავით. მათგან რომელი იყო ყველაზე საპასუხისმგებლო და საამაყო?**

დაიბადა 1984 წლის 26 აგვისტოს, ქობულეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ალამბარში.

საშუალო სკოლის წარჩინებით დასრულების შემდეგ, 2002 წელს სწავლა განაგრძო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ეკონომისტის პროფესიით. მონაწილეობდა კონფერენციებსა და სემინარებში. მიღებული აქვს სხვადასხვა სიგელი და ჯილდო.

2007 წელს მუშაობა დაიწყო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურში. 2017 წლამდე იუსტიციის სახლში მუშაობდა. 2019 წელს დაინიშნა ქობულეთის მერის პირველ მოადგილედ. აქვს სხვადასხვა კერძო კომპანიის ხელმძღვანელად მუშაობის გამოცდილება.

ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

– უნივერსიტეტის დამთავრებიდან ძალიან მალე საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დავიწყე მუშაობა. დღემდე, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროფესიული გამოცდილებაა ჩემთვის. ეს იყო სისტემური განახლების და ახალ სტანდარტებზე გადასვლის სრულიად ახალი ეტაპი სააგენტოსთვის, რის გამოც ძალიან ინტენსიური სამუშაო რეჟიმი მქონდა, ხშირად ზეგანაკვეთურიც. თუმცა ახალი გამოწვევები, რაღაც ახლის შექმნა, უდიდეს სტიმულს მაძლევს ყოველთვის. შესაბამისად, მაშინაც სავსე ენთუზიაზმით ვაკეთებდი საქმეს. რაც შეეხება იმას, რომელი პოზიცია იყო კარიერის განმავლობაში ყველაზე საპასუხისმგებლო – იცით, ცხოვრების ყველა ეტაპზე, რა პასუხისმგებლობაც ამიღია საკუთარ თავზე, ყოველთვის დიდ ენერგიას ვდებ. თუ რამეს ვიწყებ, ძალ-ღონეს არ ვიშურებ, რომ საუკეთესოდ შევასრულო, ან არასოდეს არ ვკიდებ ხელს. მაქსიმალისტი ვარ, ჩემი თავის მიმართ ძალიან მომთხოვნი და ნებისმიერ შეცდომაზე, ყველაზე მეტად ვაკრიტიკებ საკუთარ თავს. ამდენად, ძალიან რთულია, ერთი რომელიმე გადაწყვეტილება ან პოზიცია გამოვყო.

**– გარკვეული პერიოდი კერძო სამშენებლო კომპანიაშიც იყავით. საინტერესო იქნება თქვენი შეფასება – როგორი ბიზნესგარემოა დღეს ქვეყანაში?**

– დღეს ბიზნესი არის თავისუფალი და ეს მოქმედი ხელისუფლების მიერ გადადგმული ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯია. წლების განმავლობაში კერძო სექტორში ვმუშაობდი და უშუალოდ მქონდა აღნიშნულ პროცესებთან შეხება. ბიზნესი დღეს გრძნობს თავს დაცულად თავისუფალ და კონკურენტულ გარემოში და ამაზე საერთაშორისო რეიტინგები პირდაპირ მიუთითებს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ გლობალური პანდემიის პერიოდში, არაერთი საინვესტიციო პროექტი დაიწყო და მიმდინარეობს. ბიზნესი ყველაზე სენსიტიურია ნებისმიერი გარემო ფაქტორის მიმართ, თუმცა ათეულობით ახალი პროექტი კიდევ ერთხელ ადასტურებს ბიზნესის განწყობას და ის ნამდვილად პოზიტიურია.

**– პროფესიით ეკონომისტი, როგორ აფასებთ საქართველოს ეკონომიკურ წინსვლას და რამდენად სწორ ნაბიჯებს დგამს ამ მიმართულებით ხელისუფლება, მითუმეტეს, პანდემიის პირობებში?**

– საქართველოს მთავრობა, მსოფლიო ჯანდაცვის რეკომენდაციებით, ყველა იმ ღონისძიებას ახორციელებს, რაც მიზნად ისახავს კორონავირუსის პრევენციას და არსებული რისკების მაქსიმალურ შემცირებას. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობისა და ეკონომიკის სტიმულირების მიზნით, კორონავირუსის როგორც გავრცელების პირველ ეტაპზე, ასევე დღემდე, სხვადასხვა ინიციატივა განხორციელდა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში, სხვადასხვა მხარჯავი დაწესებულებებიდან გამოთავისუფლებული თანხებით, რამდენიმე ათეულ მილიონ ლარზე მეტის მობილიზება მოხდა. დაიზოგა ადმინისტრაციული ხარჯები. დღეისათვის, აჭარის ეკონომიკის სტიმულირების, საინვესტიციო გარემოს და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, აქტიური საპრივატიზაციო პოლიტიკა მიმდინარეობს. ბიზნესისთვის საინვესტიციო

შეთავაზებები მომზადდა. მთავრობის მიერ განკარგულების პროექტი შეიქმნა, რაც ინვესტორებისთვის დამატებით საშეღავათო ვადებს მოიცავს. ბუნებრივია, აღნიშნული განკარგულება ხელს შეუწყობს ბიზნესსექტორის სუბიექტებს, მეტ-ნაკლებად უმტკივნეულოდ შეძლონ რთულ ეკონომიკურ სიტუაციასთან გამკლავება. განხორციელდა არაერთი სექტორის თუ სფეროს სუბსიდირება, რაც ასევე მნიშვნელოვანი სტიმულია ბიზნესისთვის. ყველა ინიციატივის მთავარი მიზანია შევინარჩუნოთ სამუშაო ადგილები, რათა არსებული გლობალური გამოწვევებისგან მაქსიმალურად დავიცვათ ჩვენი მოსახლეობა.

**– თავისუფალი ბიზნესგარემო, სწორი ეკონომიკური პოლიტიკა... პროფესიიდან გამომდინარე, ეს არის ის მიზეზები, რის გამოც „ქართული ოცნების“ გუნდის წევრი ხართ და ზოგადად, პოლიტიკურად როდის ან რატომ გააქტიურდით?**

– ვფიქრობ, ზოგადად ადამიანები პოლიტიკაში ვართ მუდმივად, ოჯახში თუ სამსახურში. რასაც უნდა ვაკეთებდეთ, ყველგან პოლიტიკის ნაწილი ვართ, ყველას გვჭირდება და გვეხება ამ ქვეყნის განვითარება. ქვეყნის მომავალს ვქმნით ყველა ერთად, სხვადასხვა პოზიციიდან. დღეს თუ მმართველი გუნდი მიიჩნევს და ხალხიც ჩათვლის, რომ ჩემი გამოცდილება და ცოდნა, ჩემი ღირებულებები სჭირდება ქობულეთის კიდევ უფრო განვითარებას, მზად ვარ, არ დავიშურო ენერგია! რაც შეეხება მიზეზს, რის გამოც ამ გუნდის წევრი ვარ, პირველ რიგში ეს არის სწორი ღირებულებები! ადამიანზე და არა ძალადობაზე ორიენტირებული პოლიტიკა, სამართლიანობა და ქვეყნის ჯანსაღ მომავალზე ზრუნვა!

**– ისე, ბატონო ლევან, თქვენი აზრით, „ქართული ოცნების“ გუნდმა არჩევანი თქვენზე რატომ შეაჩერა?**

– როგორც უკვე აღვნიშნე, თანამშრომლობისთვის უმთავრესია საერთო ღირებულებები და ვფიქრობ, ეს იყო მიზეზი. საარჩევნო პროცესი, რომელშიც, მაქვს პატივი, ვიყო ჩართული, არის სრულიად ახალი გამოწვევა ჩემთვის. ახალი გამოწვევა იმდენად, რამდენადაც ყველა გადაწყვეტილება, რომელიც არჩევის შემთხვევაში უნდა მივიღო, იქნება კონკრეტული ადამიანების, ოჯახების, სოფლის თუ ქალაქის კეთილდღეობა. ეს კი მოითხოვს მეტ პასუხისმგებლობას და სამართლიანობას, რისთვისაც მზად ვარ!

**– ქობულეთის მერის პირველი მოადგილე იყავით და ალბათ ძალიან კარგად იცით, რა გამოწვევების წინაშე დგანან დღეს ქობულეთელები?**

– ქობულეთის მერის პირველი მოადგილის პოზიციაზე, ჩვენს გუნდთან ერთად მუშაობისას, არაერთი პროექტი განვახორციელეთ და ბევრი დღემდე მიმდინარეობს. თუმცა საჭიროა კიდევ უფრო მეტი ტემპით, ახალი ძალებით მუშაობა, მეტი ინფრასტრუქტურული, სოციალური და ინოვაციური პროექტი. მთავარი პრიორიტეტი არის მეტი დასაქმება და მოსახლეობის სოციალური კეთილდღეობა. ისტორიულად ქობულეთი ყოველთვის იყო ეკონომიკური აქტივობის, ტურიზმის ერთ-ერთი მძლავრი ცენტრი. ჩვენი მუნიციპალიტეტის მიმართ უცხოელ და ქართველ ტურისტებს აქვთ ძალიან დიდი ემოციური კავშირი. ჩვენი მიზანია, კიდევ უფრო მეტი კონკრეტული ნაბიჯი გადავდგათ, რათა ქობულეთმა შეინარჩუნოს ეს მნიშვნელოვანი როლი რეგიონის განვითარებაში. ზოგადად აჭარაში ერთ-ერთი წამყვანი სექტორი არის ტურიზმი, ქობულეთში კი ეს რესურსი განსაკუთრებით მაღალია. როდესაც ვსაუბრობთ მაღალ ტურისტულ პოტენციალზე, იგულისხმება მომიჯნავე სექტორებიც, რომლებიც ბუნებრივად და პარალელურად ვითარდება. აჭარის მთავრობამ უკვე დაიწყო ქობულეთის ინდუსტრიული ზონის განვითარების პროექტი, რაც ბუნებრივია იქნება სრულიად ახალი შესაძლებლობა მუნიციპალიტეტისთვის.

**– თუმცა ტურიზმი პანდემიის გამო დიდი გამოწვევის წინაშე დადგა. მიმდინარე წლის ზაფხულში ვითარების გაუმჯობესება იგრძნობოდა?**

– პანდემიის გამო მთელი მსოფლიო ახალი რეალობის წინაშე დგას. გამოწვევები არის ყველა სფეროში. ტურისტული სექტორი განსაკუთრებით დაზიანდა, თუმცა პანდემიის გავრცელებიდან დღემდე, ტურიზმი საკმაოდ აქტიური ტემპებით იკრებს ძალებს. მჯერა არსებული თანმიმდევრული პოლიტიკით, მაქსიმალურად ნაკლები დანაკარგებით შევძლებთ დავუბრუნდეთ პანდემიამდე არსებულ ნიშნულს და მოვახდინოთ განვითარება.

**– ბატონო ლევან, ხელისუფლებისთვის რეგიონული განვითარება პრიორიტეტია და რამდენად ზრუნავს ხელისუფლება რეგიონების მოსახლეობის ყოფის გაუმჯობესებაზე?**

– არასდროს ამდენი ინფრასტრუქტურული პროექტი არ განხორციელებულა საქართველოს რეგიონებში, სოფლებსა თუ ქალაქებში. ამ შეკითხვის მთავარი პასუხი კი არის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს არსებობა ამ ქვეყანაში. ეს პირდაპირ მიუთითებს ქვეყნის პოლიტიკაზე. მთავრობის ხედვა კი არის ძლიერი რეგიონები, რათა განვითარების მძლავრი ცენტრები დედაქალაქთან ერთად, სხვა ტერიტორიებზეც შეიქმნას.

**– თქვენ რა გეგმები გაქვთ მშობლიურ ქობულეთთან დაკავშირებით და რა შეიცვლება მუნიციპალიტეტში თქვენი გამარჯვების შემთხვევაში?**

– ჩემი მთავარი მიზანია ავითვისოთ ყველა რესურსი. შეიქმნას ეკონომიკური მიზიდულობის ახალი, მსხვილი ცენტრები, რადგან ეკონომიკური აქტივობის გაძლიერება, პირდაპირ ნიშნავს ახალ სამუშაო ადგილებს. ახალი ინიციატივები განათლების ხელშეწყობის მიმართულებით განხორციელდება, კიდევ უფრო მეტი ფინანსები სწორედ ამ მიმართულებით უნდა დაიხარჯოს. სოფლის მეურნეობის გაძლიერება იქნება ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი. ჩვენ უნდა მივცეთ კიდევ უფრო მეტი სტიმული მოსახლეობას, კვლავ აქტიურად განახორციელონ საქმიანობა სოფლის მეურნეობაში. ქობულეთში დავიბადე, დღემდე ვცხოვრობ, ცხოვრობენ ჩემი მშობლები – სხვა რა ადგილთან შეიძლება ჰქონდეს ადამიანს ამაზე უფრო დიდი ემოციური კავშირი. ქობულეთის მერობა ჩემთვის არის უდიდესი პატივი, პასუხისმგებლობა და ამავე დროს სიამაყე!

**– აჭარა გამოირჩევა რელიგიური უმცირესობების მრავალფეროვნებით. ქართველ მუსლიმებთან როგორი ურთიერთობა გაქვთ და მათგან მხარდაჭერას თუ ელით?**

– მუსლიმები არიან ჩვენი ძმები. უამრავი მუსლიმი მეგობარი და ახლობელი მყავს და ჩვენ ძალიან ხშირად ვმსჯელობთ რა სჭირდება ქობულეთს დღეს. ჩვენ გვაერთიანებს ბევრი რამ, უმთავრესი კი არის ქვეყნის და კონკრეტულად ქობულეთის სიყვარული.

**– რა უპირატესობა გაქვთ კონკურენტებთან შედარებით და რატომ უნდა დაგიჭიროს ამომრჩეველმა მხარი მაინცდამაინც თქვენ?**

– იმიტომ, რომ მჯერა, ჩემს ხალხთან ერთად შევქმნი ქობულეთის უკეთეს მომავალს!

# ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ

**„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲮᲝᲚᲝ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘ – ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲖᲔ, ᲛᲘᲡ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲐᲖᲔ, ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲖᲠᲣᲜᲕᲐ. ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝᲓ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲘ, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲖᲔ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲔᲠᲗᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲐ.**

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება. 2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. 2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, **ქობულეთის მუნიციპალიტეტზე** გამოყოფილია 82 249 044 ლარი, დაფინანსდა 194 080 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (5 014 669,7 ლარით 344 424 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (10 890 946 ლარით 127 841 შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (45 066 625 ლარით 35 159 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (13 294 619 ლარით 13 440 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (4 503 216 ლარი 7 388 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (3 107 345 ლარი 4 937 შემთხვევა). **გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.**

**ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა** ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში (ივლისის მდგომ.), პროგრამით, ქობულეთის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 10 899 ბენეფიციარი (706 8656 ლარი). 2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონი ლარიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. ქობულეთის მუნიციპალიტეტში 87%-დან 81.2%-მდე გაიზარდა იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი. ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება. 2013 წლის შემდეგ, მუნიციპალიტეტში 476-მა პაციენტმა ისარგებლა სტაციონარული მკურნალობით (1 283 293 ლარი), ხოლო ამბულატორიული მომსახურება ხელმისაწვდომი იყო 7 294 პაციენტისთვის (634 054 ლარი). **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, მუნიციპალიტეტში ანტენატალური სერვისის მიმღები იყო 12 449 ორსული (694 748 ლარი), მედიკამენტებით უზრუნველყოფილია – 2 226.

2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3მ ლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **ქობულეთის მუნიციპალიტეტიდან მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 3 214 პირი (627 973 ლარი).**

2012 წლის შემდეგ, **ქობულეთის** მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა **სამედიცინო მომსახურების დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში,** მათ შორის: ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაბეტის მართვის, დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, რეფერალური მომსახურების პროგრამების დაფინანსება. **რეფერალური მომსახურების პროგრამის განვითარების შედეგად,** გაიზარდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მიწოდება. **ქობულეთში,** 2013-2021 წლებში სულ 576 შემთხვევა 1 657 963 ლარით დაფინანსდა.

**2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა.** პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **ქობულეთის მუნიციპალიტეტს 66 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**

## ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ

**2014-2020 წლებში, ქობულეთის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:** ქ.ქობულეთში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მშენებლობა (140 777 ლ); სასწრაფო სამედიცინო დახმარების შენობის ეზოს და მიმდებარე ტერიტორის კეთილმოწყობა (188 097 ლ), ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სამედიცინო პუნქტების მოწყობა/რეაბილიტაცია: ზედა აჭყვა, ზედა სამება, ციხისძირი, ალამბარი (195 193 ლ); სამედიცინო პუნქტების მოწყობა/რეაბილიტაცია სოფლებში აჭი, გორგაძეები, ქვედა კვირიკე, ზედა კვირიკე, დაბა ჩაქვში, ჩოლოქის დასახლება (97 439 ლ). ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სამედიცინო პუნქტების მოწყობა/რეაბილიტაცია (დასაგეგმი – 800 000 ლ). სოფ. კოხის **ამბულატორიის** სახურავის, ბობოყვათის თემში **ამბულატორიის** შენობის რემონტი, ჩოლოქის **ამბულატორიის** შენობაში წყლისა და კანალიზაციის სისტემის მოწყობა; სოფ. ბობოყვათში ამბულატორიის შენობის რეაბილიტაცია.

2013 წელთან შედარებით, **4-ჯერ გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 674,2 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 167,1 ათასი ლარი იყო. ქობულეთში, 2012-2021 წლებში, ჯანდაცვის სფეროში ხორციელდება 12 პროგრამა. მათ შორის ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები/თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის, ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები/ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა სამკურნალო საშუალებების კომპენსაციით უზრუნველყოფა, ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები/სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება, ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები/„COVID-19 ით ინფიცირებულთა ოჯახების დახმარება“ და სხვ.

**ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:**

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სერვისებსა და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები;
- მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარებას;
- მუნიციპალიტეტი განახორციელებს მის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობას და ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების ქმედით მონიტორინგს და მათზე რეაგირებას.
- 2021 წლიდან იგეგმება სამედიცინო მომსახურების პროგრამით ქირურგიული მომსახურების განხორციელება სარეიტინგო ქულის გარეშე.

# ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲪᲕᲐ

**2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.**

**2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები:** 2012 წლისათვის **საპენსიო ასაკის პირთა პენსია** 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი – 275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **ქობულეთის მუნიციპალიტეტში** სახელმწიფო პენსიის მიმღებია (1.04.2021 წ. მდგომ.) 13 004 პირი. 2012 წლის შემდეგ, 2,5-ჯერ – 13 960 545-დან 35 248 430 ლარამდე გაიზარდა პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, სულ 214 362 384 ლარი დაიხარჯა.

**სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის** გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, **შესაძლებლობის შეზღუდვის** და **გარდაცვალების გამო** გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. **ქობულეთში** სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები (01.04. 2021 მდგომ.) 354 პირია. 2012 წლის შემდეგ, კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 3,9-ჯერ – 389 603-დან 1 528 065 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წლებში სულ სახელმწიფო კომპენსაციებზე 10 189 234 ლარი გაიცა.

**მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში,** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. შემწეობები. **ქობულეთის მუნიციპალიტეტში** სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 2 392 ოჯახია (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ 2,1-ჯერ – 2 629 ათასი 5446 ათას ლარამდე გაიზარდა საარსებო შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, საარსებო შემწეობაზე სულ დაიხარჯა 36 787 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონერებზე – 5 563 ათასი, შშმ პირებზე – 3 332 ათასი, ბავშვებზე – 15 648 ათასი ლარი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებულ პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – ქობულეთში, სოციალური პაკეტით სარგებლობს 4 282 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომ.), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 6-ჯერ – 1 219 094-დან 7 349 835 ლარამდე გაიზარდა.

2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 47 472 881 ლარი.

**ქობულეთის მუნიციპალიტეტში 1 416 დევნილია** (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 562 402 ლარიდან 780 480 ლარამდე გაიზარდა შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 6 374 145 ლარი. **დევნილებზე** ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (07.2021 წ. მონაც.), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართი 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, მათგან **ქობულეთის მუნიციპალიტეტში** დაკმაყოფილდა 116 ოჯახი, მათ შორის: პროექტით „სოფლად სახლი“ სახელმწიფომ სახლი 10 ოჯახს შეუსყიდა; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართი, მასში მცხოვრებ 106 დევნილ ოჯახს დაუკანონდა. მიმდინარე წლის ბოლომდე, საქართველოს მასშტაბით, დამატებით, 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება. ასევე გრძელვადიანი საცხოვრებლით სახელმწიფომ, საქართველოს მასშტაბით, 1997 **ეკომიგრანტი ოჯახი** დააკმაყოფილა: 2013-2021 წ.წ. 667 ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებლი ფართი და მიწის ნაკვეთი, 386 დაკანონების პროცესშია.

**ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ:** სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან ქობულეთის მუნიციპალიტეტზე – 5 366 660 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად **(1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ).** პროგრამაში, 2020 წელს ქობულეთის მუნიციპალიტეტში ჩართული იყო 1825 ოჯახი, 2021 წელს – 2 122 ოჯახი. **ყოველთვიური დახმარება (თვეში 100 ლარი)** განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით, ქობულეთის მუნიციპალიტეტში, 2020 წელს, ისარგებლა 566-მა ოჯახმა, 2021 წელს – 629-მა (ივნისის მონაცემებით). **მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალური პაკეტით დახმარებასთან ერთად, დამატებით გამოიყო 100 ლარი (6 თვით), მუნიციპალიტეტში პროგრამაში 2020 წელს ჩაერთო 1 169 პირი, 2021 წელს – 1211(ივნისის მდგომარეობით).

**„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი, სახელმწიფო პროგრამის** დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილების თანახმად, სსიპ დასაქმების სახელწიფო საგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებლ უწყებად. სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთვის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო სააგენტომ შეასრულა კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. **ერთჯერადი 300-ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867-მა ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში გადაირიცხა 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან დაიწყო ერთჯერადი, 300-ლარიანი კომპენსაციების გაცემის მეორე ტალღა იმ პირებისთვის, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა – 121 634 პირზე ჯამში გადაირიცხა 36 490 200 ლარი.

**დაქირავებით დასაქმებულებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან იყვნენ უხელფასო შვებულებაში, დაწესდა ფინანსური დახმარება 1200-ლარიანი კომპენსაციის სახით** (6 თვე თვეში– 200-200 ლ). ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით, 2020 წ. კომპენსაცია ჯამში მიიღო 162 271-მა ერთეულმა პირმა (131 237 800 ლ), 2021 წელს ჯამში გაიცა 141 909 200 ლარის კომპენსაცია.

2013 წელთან შედარებით **გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს სოციალური დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 850,8 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 640,0 ათასი ლარი იყო. ქობულეთში, **2012-2021 წლებში, სოციალური დაცვის სფეროში ხორციელდება 11 მუნიციპალური პროგრამა.**

მუნიციპალური უფასო სასადილო, ცალკეული სოციალური კატეგორიის ოჯახების გაზიფიცირება, ყოველ მე-3 და მომდევნო ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა, 5 და მეტ მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა, დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური მატერიალური დახმარების პროგრამა, დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პაციენტების ტრანსპორტირების პროგრამა და სხვ.

**სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:**

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები.

# ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

**ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲐ. 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲤᲣᲜᲓᲐᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲣᲠᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲡᲐᲧᲝᲤᲐᲓ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲛᲧᲝᲤᲘ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ �გᲐᲠᲐᲜᲢᲘᲔᲑᲘ, ᲓᲐᲘᲮᲕᲔᲬᲐ ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲓᲐᲓᲒᲘᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲜᲔᲠᲒᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲔᲑᲘ.

კოლეჯი „ახალი ტალღა“

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

**2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა,** ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების საააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

**2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;**

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.

2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

## ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

**სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია.** ქობულეთში ფუნქციონირებს 29 მუნიციპალური საბავშვო ბაღი, მათგან 7 – ქ. ქობულეთში.

**2013 წლის შემდეგ საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო.** მნიშვნელოვნად გაიზარდა ქობულეთში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფინანსება: თუ 2013 წელს განათლების სფეროს ხარჯები, მუნიციპალური ბიუჯეტით, 1 081 317 მილიონი ლარი იყო, 2021 წელს 4 673 764 ლარით განისაზღვრა. 2013 წლიდან 2021 წლის ჩათვლით, მუნიციპალური ბიუჯეტი გაიზარდა 3 592 447 ლარით.

**2014-2021 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის ათეულობით პროექტი – აშენდა ახალი ან ჩატარდა უკვე არსებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შენობების სრული და ნაწილობრივი რეაბილიტაცია. განხორციელდა სხვადასხვა ტიპის ინფრასტრუქტურული სამუშაოები ქ. ქობულეთისა და მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა საბავშვო ბაღში. მათ შორის: 2019 წელს** – რეაბილიტირდა და კეთილმოეწყო სოფელ ლეღვას №2 და №3 საბავშვო ბაღების ეზო (400 ათასი ლარი); გაიხსნა აჭყვისთავის, ჩაისუბნის და წყავროკას საბავშვო ბაღები. ასევე შემოერთებულ იქნა ჩაქვის № 2 საბავშვო ბაღი. განხორციელდა საბავშვო ბაღების (სოფელი ლეღვა, ქალაქის №2 და №3 ) ეზოს რეაბილიტაცია (69,6 ათასი ლარი);

2019– 2021 წლებში, მოეწყო შენობა-ნაგებობების ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. აღზრდისა და განათლების შესახებ კანონპროექტის თანახმად, განხორციელდა მოცემული სტანდარტის რევიზია.

2021 წელს **განხორციელდა** ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოები (314,7 ათასი ლარი); **მიმდინარეობს** ახლი საბავშვო ბაღის მშენებლობა სოფელ საჩინოში (1,5 მლნ ლარი);

**შესრულებული სამუშაოების შედეგად, 2021 წელს,** 2013 წელთან შედარებით, სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებაში აღსაზრდელთა რაოდენობა 1 365-დან 2 320-მდე გაიზარდა. 2021 წლისთვის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში **კვების ყოველთვიური თანხა** თითოეულ აღსაზრდელზე 80 ლარს შეადგენს. დასაქმებულია 135 აღმზრდელ-პედაგოგი და 90 აღმზრდელი. საბავშვო ბაღებს 29 ექთანი ემსახურება.

## ზოგადი განათლება

**მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 46 საჯარო სკოლა (ქალაქში – 5, სოფელში – 41), სადაც 11 090 მოსწავლე, 1226 მასწავლებელი, 51 სპეციალური მასწავლებელია.** მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, 2020 წლის მაისის მდგომარეობით, ქობულეთში იდენტიფიცირებულია 163 სსსმ მოსწავლე.

**2013-2021 წლებში, ზოგადი განათლების სფეროში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ქობულეთის მუნიციპალიტეტში, განახორციელა სხვადასხვა პროგრამა, მათ შორის: 2013-2019 წლებში წარჩინებულ მოსწავლეთა მედლების** ქვეპროგრამით, ქობულეთში გამოვლინდა 91 ოქროსა და 31 ვერცხლის მედალოსანი. პროგრამით **„ჩემი პირველი კომპიუტერი“** პორტაბელური კომპიუტერი გადაეცა 3055 პირველკლასელს, 168 **დამრიგებელსა** და 262 **წარჩინებულ მოსწავლეს.** 2019-2020 ს/წ 254 143 უფასო **სახელმძღვანელო** და 2 183 **ჟურნალი** დარიგდა. **საჯარო სკოლის ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამით** სარგებლობს ქობულეთის 42 საჯარო სკოლის (267 მიმართულება) 6 200 მოსწავლე; **ექიმის კაბინეტი** ფუნქციონირებს 8 საჯარო სკოლაში. 2020 წლის მონაცემებით, 20 სკოლას ემსახურება 44 **მანდატური**. 2017–2019 წლებში, **სასკოლო აქტივობების ხელშეწყობის პროგრამით** 114 პროექტი დაფინანსდა. **ოპტიკური კავშირით და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით** უზრუნველყოფილია 26 სკოლა, **კორპორატიული სტანდარტის უსადენო ქსელით –** 1 სკოლა. **რადიოტექნოლოგიითა და გაუმჯობესებული კავშირის** სიჩქარით უზარუნველსაყოფად განხორციელდა 70 პროექტი; **ახალი სკოლის მოდელის** ფარგლებში, ლეღვას №2 საჯარო სკოლას გადაეცა 15 კომპიუტერი.

**აჭარის ა/რ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამებით, ქობულეთის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა ინფრასტრუქტურული პროექტები, მათ შორის** – აჭყვის საჯარო სკოლის მშენებლობა (297 ათასი ლარი), ცეცხლაურის №2 სკოლის მშენებლობა (137,9 ათასი ლარი), კვირიკეს №1, ალამბრის, ლეღვას №1, ქვედა სამების საჯარო სკოლების რეაბილიტაცია (700,4 ათასი ლარი); სამ საჯარო სკოლაში სამედიცინო ოთახების მოეწყო; **საჯარო სკოლების ინვენტარით უზრუნველყოფა“ –** ზედა აჭყვის, ცეცხლაურის №1 და №2, ქვედა სამების, ჩაისუბნის, კვირიკეს №1 და ალამბრის საჯარო სკოლები აღიჭურვა ინვენტარით (180 ათასი ლარი); **საპანსიონო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა** – ჩაისუბნის პანსიონი (177,8 ათასი ლარი), ჩაისუბნის №2 საჯარო სკოლის ეზოს კეთილმოწყობა (44,5 ათასი ლარი); **საჯარო სკოლების ბიბლიოთეკების განვითარების პროგრამა** – ხუცუბნის, ოჩხამურის, ხალას და ციხისძირის საჯარო სკოლების ბიბლიოთეკები შეივსო ახალი წიგნებით (სულ 6304 წიგნი); **სასკოლო კლუბების ხელშეწყობა** – დაფინანსდა სოფელ ჩაქვის №1, ქობულეთის №3 (კლუბი „სინემა“) და სოფელ ციხისძირის (კლუბი „დვრიტა“) საჯარო სკოლები; **სპორტის განვითარების ხელშეწყობა სკოლებში** – რეაბილიტაცია ჩაუტარდა სახალვაშოსა და ცეცხლაურის საჯარო სკოლების სპორტულ დარბაზებს (48,7 ათასი ლარი).

**2017 წელს –** მუნიციპალიტეტის 7 სკოლის რეაბილიტაციაზე 613 ათასი ლარი დაიხარჯა. **2018 წელს** – დასრულდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის ახალი კორპუსის მშენებლობა ქ. ქობულეთში (800,7 ათასი ლარი). **2019 წელს** – განხორციელდა ბობოყვათის (512 ათასი ლარი), გვარას (172 ათასი ლარი), აჭყვისთავის (178 ათასი ლარი) კვირიკეს №1 (28 ათასი ლარი), ჩაქვის №1 (155 ათასი ლარი), ქობულეთის №6 (394 ათასი ლარი) სკოლების რეაბილიტაცია. **2020 წელს –** აშენდა დაბა ოჩხამურის დაწყებითი სკოლა (395 ათასი ლარი) განხორციელდა აჭყვას (95 ათასი ლარი), ციხისძირის (182 ათასი ლარი), კვირიკეს №2 (45 ათასი ლარი), დაგვას (298 ათასი ლარი) ქობულეთის №1 (163 ათასი ლარი) სკოლების რეაბილიტაცია. **2021 წელს –** გაგრძელდა დაგვისა და ციხისძირის სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები. დაიწყო ხუცუბნის სკოლის მშენებლობა (3 მლნ 065 ათასი ლარი). **მიმდინარეობს** ასევე ბობოყვათის, ალამბრის, სკურას, ბუკნარის, შუაღელეს, ქვედა სამების სკოლებში სხვადასხვა სამუშოები. **მიმდინარე წელს დასრულდება** ზენითის სკოლის სპორტდარბაზის მშენებლობა (676 ათსი ლარი).

**2014-2021 წლებში – საჯარო სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში,** მხატვრული ლიტერატურით უზრუნველყოფილია 31 საჯარო სკოლა (14 400 წიგნი), 29 საჯარო სკოლას გადაეცა საასკოლო მერხი, სკამი და საოფისე ავეჯი. 7 სკოლა უზრუნველყოფილია ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის ლაბორატორიით, 8 სკოლას გადაეცა სპორტული ინვენტარი; 4 სკოლა უზრუნველყოფილია ფიზიკის ელექტრონული ლაბორატორიით; 23 საჯარო სკოლას გადაეცა სასკოლო დაფა. 2 საჯარო სკოლას – სამედიცინო ინვენტარი. **ახალი სკოლის მოდელი** დანერგილია 2 საჯარო სკოლაში. დასრულდა სოფელ ლეღვას №2 საჯარო სკოლის MCC-ტერიტორიის კეთილმოწყობა, შემოღობვა, პროექტის ღირებულება (122 340 ლარი); სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქობულეთის №2 და ლეღვას №2 საჯარო სკოლებს; **2019-2021 წლებში – ნაწილობრივი რეაბილიტაცია** ჩაუტარდა 4 საჯარო სკოლას; ქობულეთში ფუნქციონირებს 36 **ადაპტირებული სკოლა; ცენტრალური გათბობით** უზრუნველყოფილია 37; **ოპერირებისა და მოვლა პატრონობის** პროგრამა ხორციელდება 2 სკოლაში; **სრული რეაბილიტაცია** ჩაუტარდა საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალ ტალღას“; მუნიციპალიტეტში 11 სკოლას ჩაუტარდა რეაბილიტაცია. **2019-2020 წლები –** საჯარო სკოლების **მატერიალურ-ტექნიკური ბაზის** გაუმჯობესების პროგრამით, 22 საჯარო სკოლა აღიჭურვა ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის ლაბორატორიებით, სპორტული და სასკოლო ინვენტარით, სკოლების ბიბლიოთეკები შეივსო ახალი მხატვრული ლიტერატურით (175,3 ათასი ლარი);

## პროფესიული განათლება

ქობულეთის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სსიპ **კოლეჯი „ახალი ტალღა“,** რომელსაც მოპოვებული აქვს 43 პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება (მათ შორის 37 ქობულეთში და 6 ხულოში). **კოლეჯს აქვს საერთო საცხოვრებელი.**

**2017 წელს კოლეჯმა „ახალი ტალღა“ წლის საუკეთესო პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდო მიიღო.**

**2017-2018 წლებში** – კოლეჯი ჩართული იყო ქართულ-ესტონურ პროფესიულ სტუდენტთა გაცვლით პროექტში. კოლეჯის ლოგისტიკის სპეციალობის კურსდამთავრებულები გაცვლითი პროგრამით იმყოფებოდნენ ესტონეთში. კოლეჯი უზრუნველყოფს საჯარო სკოლებში პროფესიული უნარების დანერგვას – ამ მიზნით განხორციელებულია 23 პროექტი;

**2020 წელს** კოლეჯში 301 სტუდენტი ჩაირიცხა (3 სსსმ პირი); პროფესიულ პროგრამებში ჩართულია 1 496 სტუდენტი (11 სსსმ პირი); პროფესიული პროგრამების კურსი დაამთავრა 238-მა სტუდენტმა ( 3-მა სსსმ პირი); **2020 წლიდან** კოლეჯმა მოიპოვა ისეთი ტიპის პროფესიული პროგრამის განხორციელების უფლება, რომლის დასრულების შემდეგაც **გაიცემა სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებული დიპლომი.** 2020 წლის მიღების ფარგლებში **ინტეგრირებულ პროფესიულ პროგრამებზე** ჩაირიცხა 30 სტუდენტი; 2020 წელს – კოლეჯი, პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში, განათლებისა და მეცნიერების, სამინისტრომ **დააფინანსა 3,3 მლნ ლარით;** 2021 წლისთვის, ქობულეთში, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების 22 პროგრამა ხელმისაწვდომია 3 დაწესებულებაში.

**ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში: 2017 წელს** სს(ი)პ კოლეჯი „ახალი ტალღა“ ლიფტის რეაბილიტაციისათვის დაფინანსდა 1 714 ლარით; **2018 წელს** აღჭურვილობის (ჭავლური პრინტერები, გამწოვი და ვექტორული მაგიდა) შესაძენად დაფინანსდა 5 446 ლარით; ასევე, სხვადასხვა აღჭურვილობის შესაძენად დაფინანსდა 67 329 ლარით, მოდულარული პროგრამის აღჭურვისათვის – 179 588 ლარით; **2019 წელს** დაფინანსდა კულინარიის ხელოვნებისა და კონდიტერიის აღჭურვილობის შეძენა (28 027 ლარი), მსუბუქი ავტომობილის შეკეთებისთვის საჭირო აპარატურის შესყიდვა (35 972 ლარი), სასწავლო კორპუსის ფასადისა და შიდა კიბის უჯრედის სარეაბილიტაციო სამუშაოები (825 649 ლარი);

**2020 წელს** კოლეჯს „ახალი ტალღა“ **სრული რეაბილიტაცია** ჩაუტარდა, რაზეც დაიხარჯა 1 მლნ 492 ათასი ლარი; **2021 წელს** კოლეჯისთვის აშენდა ახალი სახელოსნოები.

### „ქართული ოცნების“ უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტების – განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით განხორციელდება:

- საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- გაგრძელდება სასკოლო მზაობის ჯგუფების ფუნქციონირება და ყველასთვის ხელმისაწვდომი სასკოლო მზაობის ეფექტიანი პროგრამების განხორციელება; აღმზრდელ პედაგოგოგთა გადამზადება და სერტიფიცირება; საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება აღსაზრდელთა ტრანსპორტით მომსახურება;
- **გაგრძელდება ქობულეთის მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია:** 2021 წელს მიმდინარეობს სოფ. საჩინოში საბავშვო ბაღის მოწყობა 1,5 მლნ ლარი, სოფ. ხალაში საბავშვო ბაღის მოწყობა – 1,4 ლარი, სოფ. ალამბარში საბავშვო ბაღის მშენებლობის სამუშაოები – 1 144 945,38 ლარი, სოფელ ლეღვაში საბავშვო ბაღის მოწყობა – 1 093 084 ლარი, ასევე დაგეგმილია: ქ. ქობულეთში №1 საბავშვო ბაღის მშენებლობა – სავარაუდო ღირებულება 2 937 152 ლარი, სოფელ გვარაში საბავშვო ბაღის მშენებლობა – სავარაუდო ღირებულებაა 1 505 641 ლარი, სოფელ ქვედა კვირიკეში საბავშვო ბაღის მშენებლობა – სავარაუდო ღირებულებაა 1 618 163 ლარი.
- უწყვეტად გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მოდერნიზება, რაც უზრუნველყოფს ბავშვისთვის სკოლაში საჭირო მრავალმხრივი – აკადემიური, ფუნქციური, ქცევითი, ემოციური და სოციალური უნარების განვითარებას; განხორციელდება ღონისძიებები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული განათლების მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო **დაფინანსება,** გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- რეფორმის ფარგლებში დაინერგება **მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების** პრინციპები;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება ქობულეთში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით.
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია; მიმდინარეობს **8 სკოლის რეაბილიტაცია** და **1 ახალი სკოლის მშენებლობა** სოფელ ხუცუბანში.
- პროფესიული განათლების **ხარისხის უზრუნველყოფის** მიზნით, დაინერგება კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები, კრედიტების ახალი სისტემა და კერძო სექტორის მიერ/მონაწილეობით პროფესიული სტანდარტების შემუშავების წესი; ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო **დაფინანსება,** შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის **დაფინანსების ახალი მოდელი**, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების **სტრატეგიული გეგმა**, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

# ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ, ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

**„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛᲐ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲘ ᲬᲘᲜᲘᲡᲕᲚᲐᲡ, ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲔᲥᲪᲔᲕᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲐ-ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ-ᲠᲔᲡᲢᲐᲕᲠᲐᲪᲘᲐᲡ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲜᲡᲐᲦᲘ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲐᲡ. ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ.**

## ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ

**ქობულეთში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული შემდეგი დაწესებულებები:** ა(ა)იპ ქობულეთის კულტურის ცენტრის საბიბლიოთეკო განყოფილება, ა(ა)იპ ქობულეთის მუზეუმი, ქობულეთის, ხალას, ქაქუთის, დაგვის, მუხაესტატეს, ციხისძირისა და ცეცხლაურის კულტურის სახლები; აჭის, ლეღვას, ჭახათის, გვარას, საჩინოს, ზედა აჭყვის, ქვედა აჭყვის, ალამბრის, აჭყვისთავის, ჩოლოქის, ქობულეთის, ჩაისუბნისა და ბუკნარის სასოფლო კლუბები.

**2013 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა კულტურის სფეროს დაფინანსება. 2013 წლის ბიუჯეტით კულტურის სფეროს ხარჯები 837,6 ათასილარი იყო, 2021 წელს შესაბამისი მაჩვენებელი 1 მლნ 782 ლარით განისაზღვრა;**

**2014-2021 წლებში გაიზარდა საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში.** მუნიციპალიტეტში ტარდებოდა სახალხო ზეიმები: „ჩაქვისთავობა“, „ქაქუთობა „ალამბრელობა“, „მუხაესტატეობა“, იმართებოდა პოეზიისა და ფოლკლორის საღამოები, მნიშვნელოვანი თარიღებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. კინტრიშის ხეობის სახალხო ზეიმები, ,,ჩაისუბნობა“, ,,მარიამობა“, ,,ქობულეთობა“, პროექტი ,,რჩეული ქობულეთელი“, პროექტი „ამაგდარნი“ – შეხვედრა ღვაწლმოსილ პიროვნებებთან, შეხვედრა პოეტებთან. ,,26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე“, ,,8 აგვისტოს ომის გახსენება“, ,,27 სექტემბერი“.

**2021 წელს** ა(ა)იპ „ქობულეთის მუზეუმში“ სხვადასხვა სახის 7 ღონისძიება გაიმართა. ქობულეთის კულტურის ცენტრთან არსებულმა საბიბლიოთეკო განყოფილებამ, პანდემიის რეგულაციების დაცვით, ღირსშესანიშნავი თარიღებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები მოაწყო.

**2014-2021 წლებში განხორციელდა კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები: 2014 წელი** – ა(ა)იპ ქობულეთის მუზეუმის დიდი საექსპოზიციო დარბაზის რეკონსტრუქცია; ქობულეთში (აღმაშენებლის გამზირის №114) კულტურის სახლის სამშენებლო სამუშაოები (2 მლნ 344050 ათასი ლარი); 2015 წელი – ა(ა)იპ ქობულეთის მუზეუმის დიდი საექსპოზიციო დარბაზის დროებითი საგამოფენო დარბაზის რეკონსტრუქცია; **2016 წელი** – ა(ა)იპ ქობულეთის მუზეუმის დიდი საექსპოზიციო დარბაზში ვიდეოკონტროლის სისტემის მოწყობა (2,8 ათასი ლარი). **2017 წელს** -განხორციელდა კულტურის ობიექტების რეაბილიტაციის 4 პროექტი (ჯამში, 226, 7 ათასი ლარი); შეკეთდა ქობულეთში, აღმაშენებლის ქ. №568-ში, ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ძეგლი, ასევე მეჩეთის დაზიანებული სახურავი სოფელ ხალაში, საკონსერვაციო სამუშაოები ჩაუტარდა ხინოს ნაეკლესიარს სოფელ ხინოწმინდაში, სოფელ ციხისძირში, პეტრას ციხეზე მოეწყო ღობე. **2017-2018 წლებში** – ა(ა)იპ ქობულეთის მუზეუმში განხორციელდა ელექტროსადენების განახლება-მოწყობისა და სახურავის სარემონტო სამუშაოები (8 200 ლარი); **2019 წელს** – განხორციელდა მუზეუმის სახურავის ნაწილობრივი რეაბილიტაცია (3 115 ლარი); ქობულეთის სახელოვნებო სკოლის რეაბილიტაცია (385, 8 ათასი ლარი); სოფელ გორგაძეებში ზურაბ გორგილაძის სახლ-მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოები (206,8 ათასი ლარი); დასრულდა ხინოს ნაეკლესიარის სარეაბილიტაციო სამუშაოები (68753 ლარი); **2020 წელს** – ქ. ქობულეთში, ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ძეგლის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტის შესყიდვა (34,3 ათასი ლარი); ხინოს ნაეკლესიარის სრული რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა (34,3 ათასი ლარი); სოფელ ზენიეთსა და ციხისძირში ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ძეგლის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტების შესყიდვა (37,5 ათასი ლარი);

**კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ მიზნობრივი პროგრამებით მუნიციპალიტეტში განახორციელა:** კვირიკესჯამე – სახურავისრეაბილიტაცია (18 ათასი ლარი); აჭარის ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის ფასეულობათა ინვენტარიზაცია, 36 ობიექტის შესწავლა – კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა 7 ობიექტს (1,7 ათასი ლარი).

**აჭარის ა/რ მასშტაბით, მათ შორის ქობულეთის მუნიციპალიტეტის კულტურული ტურიზმის განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით, 2019 წელს განხორციელდა სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტები:** „დასავლეთ საქართველოს ცნობილი და უცნობი კულტურული მარშრუტები“ (32 315 ლარი) და „მოდერნის სტილის არქიტექტურული მემკვიდრეობის კვლევა საქართველოში – გამოვლენა, აღრიცხა და შესწავლა“ (19 750 ლარი). ქობულეთის მუნიციპალიტეტს ფარავს ევროპის საბჭოს „ებრაული მემკვიდრეობის ევროპული მარშრუტი საქართველოში” და სამინისტროს მიერ სერტიფიცირებული მარშრუტები „ალ. დიუმას კვალდაკვალ“ და „წმ. ანდრიას გზა“, რომელიც ხელს უწყობს ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციასა და კულტურული ტურიზმის განვითარებას.

## ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

**ქობულეთის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ა(ა)იპ ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა.**

2013 წლის შემდეგ, გაიზარდა სპორტის სფეროს ხარჯები და 2021 წელს 1 მლნ 487,5 ათასი ლარი შეადგინა.

**ქობულეთის** კომპლექსური სასპორტო სკოლაში სულ 29 მწვრთნელი და 371 სპორტსმენი ირიცხება. **მუნიციპალიტეტში სპორტის პრიორიტეტული სახეობებია:** თავისუფალი ჭიდაობა, ფეხბურთი და ძალოსნობა.

**2013-2016 წლებში,** სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, სპორტულმა ფედერაციებმა მუნიციპალიტეტში 2 შიდაჩემპიონატი (15,6 ათასი ლარი), 2 საერთაშორისო ტურნირი (43,1 ათასი ლარი) და 9 სასწავლო-საწვრთნელი შეკრება (74,6 ათასი ლარი) ჩაატარეს. სამინისტრომ 1 ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობის მშენებლობაც დააფინანსა (8,9 ათასი ლარი).

**2014-2020 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის არაერთი პროექტი: 2014 წელი** – ქაქუთის თემში, სოფელ აჭში საფეხბურთო მოედნის მშენებლობა და ქობულეთში (რუსთაველის ქ. №215-ის მიმდებარედ) საფეხბურთო მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები (43,7 ათასი ლარი); **2015 წელი** – ხუცუბნის ცენტრში და თეთროსნის უბანში მდებარე სტადიონების რეაბილიტაცია (13,5 ათასი ლარი); მუნიციპალიტეტის 14 სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, ახალი მინისტადიონის (ქობულეთი, კომახიძის ქ.) მოწყობა (სულ -115,9 ათასი ლარი); ხუცუბანში რაგბის სტადიონის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია (59,8 ათასი ლარი); ხუცუბნის რაგბის სტადიონზე ორი მოსაცდელის მოწყობა/მონტაჟი (2,9 ათასი ლარი); **2016 წელი** – ორი სპორტული მოედნის (ქობულეთის თავისუფალი ტურისტული ზონის ტერიტორია) მოწყობა (452,2 ათასი ლარი); დაგვაში მინისტადიონის მშენებლობა (42,2 ათასი ლარი); მუხაესტატეში სტადიონის მოწყობა (46,6 ათასი ლარი); ქობულეთი, ფიჭვნარში სტადიონის სექციების აღდგენა (2,9 ათასი ლარი); ქობულეთის ცენტრალური სტადიონის რემონტი (120,9 ათასი ლარი); სახალვაშოში მინი სტადიონის რეაბილიტაცია (10,9 ათასი ლარი); ქობულეთში (ჭავჭავაძის უბანი) სპორტული მოედნის რეაბილიტაცია (70 ათასი ლარი); ქობულეთში (რუსთაველის ქ. №160– №162) სპორტული მოედნის რეაბილიტაცია (42 ათასი ლარი).

**2017 წელი –** რეაბილიტაცია ჩაუტარდა არსებულ სპორტულ მოედანს დაბა ჩაქვში (94, 1 ათასი ლარი);მოეწყო ახალი სპორტული მოედანი სოფელ ქაქუთში (38, 9 ათასი ლარი); რეაბილიტაცია ჩაუტარდა არსებულ სპორტულ მოედანს ჩოლოქის დასახლებაში (20 ათასი ლარი); გაფართოვდა არსებული სტადიონი სოფელ გვარში – შემოიღობა, დაიგო ხელოვნური საფარი და მოეწყო გარეგანათება (81, 3 ათასი ლარი); რეაბილიტაცია ჩაუტარდა ღობეებს და დაიგო ხელოვნური საფარი სოფელ საჩინოსა და ზედა აჭყვში არსებულ სპორტულ მოედნებზე (54, 3 ათასი ლარი); მოეწყო ახალი სპორტული მოედანი სოფელ ხალაში (45,6 ათასი ლარი); გაფართოვდა არსებული სტადიონი და მოეწყო შესაბამისი ინფრასტრუქტურა სოფელ ქობულეთში (85,5 ათასი ლარი); მოეწყო ახალი სპორტული მოედანი ქ. ქობულეთში, გელაურის დასახლებაში (85 ათასი ლარი); ახალი სპორტული მოედნები მოეწყო სოფელ შუაღელესა (42, 8 ათასი ლარი) და დაბა ოჩხამურში (91, 5 ათასი ლარი); **2018 წელს** – ახალი მინი სპორტული მოედნები მოეწყო აჭყვისთავში (48 248,14 ლარი), კვირიკესა (84 ათასი ლარი) და ბობოყვათში (63 ათასი ლარი); განხორციელდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლის რეაბილიტაცია (9, 8 ათასი ლარი); რეაბილიტაცია ჩაუტარდა დაბა ოჩხამურში, აგურქარხნის დასახლებისა (20, 6 ათასი ლარი) და წყავროკის სტადიონებს (36 019,57 ათასი ლარი); ქ. ქობულეთის ცენტრალური სტადიონის „ შუქურა“ სარეაბილიტაციო სამუშაოები (243 866,76 ლარი). დაბა ოჩხამური, სოფელ ჯიხანჯურში, შაინიძნების დასახლებაში, სტადიონის მოწყობა (69 925,80 ლარი). **2019 წელს –** ქობულეთის ცენტრალური სტადიონის „შუქურა“ სარეაბილიტაციო სამუშაოები (მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, სველი წერტილების რეაბილიტაცია – 106`696 ლარი) დაბა ჩაქვი, ბუკნარში მოეწყო სტადიონი (92 836,96 ლარი), რეაბილიტაცია ჩაუტარდა აჭყვის სტადიონს (37, 1 ათასი ლარი); ქობულეთში, აღმაშენებლის ქ. №720-თან და სოფელ ციხისძირში მდებარე სტადიონებს (131, 3 ათასი ლარი); მოეწყო სტადიონები ზენითსა (68 832,55 ლარი) და ბობოყვათში (101 159.94 ლარი)

**2020 წელს:** ქობულეთში, ახალსოფელში დასრულდა სტადიონის რეაბილიტაცია (68 000 ლარი), სოფელ კვირიკეში (მეურნეობასა და სასირეში) მოეწყო 2 მინი-სტადიონი( 118 087,48 ლარი), ცეცხლაურში შემოიღობა არსებული, ხინოს დასახლებაში კი მოეწ-

ახალსოფლის მოედნის რეაბილიტაცია

ყო ახალი სტადიონი (166 145,02 ლარი), დასრულდა სტადიონების რეაბილიტაცია ქობულეთში (თავისუფლების ქ., რუსთაველის ქ. №140, კომახიძის ქ. №13; კომახიძის ქ. №15; რუსთაველის ქ. №162; აღმაშენებელის ქ. დაცული ტერიტორიების მიმდებარედ), რაზეც ჯამურად 255 366,75 ლარი დაიხარჯა. სპორტული მოედნები მოეწყო მუხაესტატეს მეურნეობასა (64 886 ლარი), და ბობოყვათში (177 183,45 ლარი), ქ. ქობულეთის 4 სტადიონის (რუსთაველის ქ. №166ᵃ, რუსთაველის ქ.№162ᵐ, რუსთაველის ქ. №140 და ლესელიძის ქ.) სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 131 276.18 ლარი დაიხარჯა. 2020 წელს განხორციელდა 5 ახალი სტადიონის მშენებლობა და 15 სპორტული სტადიონის რეაბილიტაცია, ჯამში 911 ათასი ლარი დაიხარჯა. განხორციელდა სტადიონების სამშენებლო-სარეაბილიტაციო და მოწყობის სამუშაოები ქობულეთსა და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფელში (20 ობიექტი) – 2,5 მლნ ლარი.

**2021 წელს დასრულდა** ქ. ქობულეთში სპორტსკოლასთან არსებული ფეხბურთის მოედნის რეაბილიტაცია (157,482 ლარი); დაგეგმილია (გამოცხადებულია ტენდერი) – ქ. ქობულეთში, ცენტრალურ პარკში სტადიონის მოწყობა და ჭავჭავაძის ქ. არსებული სტადიონის რეაბილიტაცია (202 735 ლარი), ოჩხამურში სპორტული მოედნის მოწყობა (177 349 ლარი) სოფელ ქაქუთში არსებული მინისტადიონის დემონტაჟი და ახალის მოწყობა (66 890 ლარი), სოფელ ლეღვაში (ცხრაფონა) მინისტადიონის მოწყობა (159 426 ლარი), ქ. ქობულეთში „მტს"-ის დასახლებაში მინისტადიონის მოწყობა (163 387 ლარი), ხუცუბანში, თეთროსნის დასახლებაში სტადიონის მოწყობა (108 642 ლარი).

## ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

2021 წლიდან, ახალგაზრდების მოტივაციის გაზრდის მიზნით, ამოქმედდა ახალი პროგრამები, რომელმაც ხელი შეუწყო მათ აქტიურ ჩართვას საზოგადოებრივ საქმიანობაში – გაიცა 73 400 ლარის სტიპენდიები, დაფინანსდა გრანტები (ბიუჯეტი 10 000 ლარი).

ქობულეთის მუნიციპალიტეტში, პირველად განხორციელდა ახალგაზრდების პრობლემებისა და საჭიროებების კვლევა. კვლევის საფუძველზე შეიქმნა ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი. დაიგეგმა სამწლიანი სამოქმედო პროგრამა, სადაც წარმოდგენილია ინიცირებული პროექტების დაფინანსება.

**ახალგაზრდობის სფეროში სამინისტრომ მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის პროექტი განახორციელა**: „მოხალისეობის განვითარების პროგრამა" (რეგიონის მასშტაბით 2-2 ახალგაზრდა მონაწილე – თითოეული მუნიციპალიტეტიდან); „საქართველოს თასი ლაშქრობაში" (მონაწილეობა მიიღეს18-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდებმა საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტიდან); მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელ პირთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები. სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მხარდაჭერით, მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებმა განახორციელეს პროექტები: „მოსწავლეთა თვითმმართველობების საქმიანობის გაძლიერება კერძო სკოლების ეფექტური მმართველობისათვის", „მე ვახდენ თვითრეალიზაციას – მე ვიცავ უფლებებს" (23,4 ათასი ლარი). პროექტების მიზანი იყო: მუნიციპალიტეტის 5 საჯარო სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობის შეფასება და პრობლემების გადაჭრის გზების დასახვა, შშმ პირებისა და სხვადასხვა სფეროს წარმატებული წარმომადგენლისთვის სამდღიანი ბანაკის მოწყობა და შემოქმედებითი საღამოების გამართვა, ადვოკატირების მცირე კამპანიების განხორციელება.

**2020 წელს** ქობულეთის კულტურის ცენტრთან არსებული მოსწავლე ახალგაზრდობასთან მუშაობის განყოფილებამ ჭარბტენიანობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მოაწყო შეხვედრა ქობულეთის დაცული ტერიტორიების სააგენტოს წარმომადგენლებთან; „ახალგაზრდობა იმედი ხვალის" – ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით შეხვედრა ქობულეთელ წარჩინებულ ახალგაზრდებთან; „ზღაპრის ბოლო კეთილია" – საახალწლო ზეიმი;

**აჭარის ა/რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებამ – სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა განახორციელა:** ახალგაზრდულ საქმეთა სფეროს ხელშეწყობის პროგრამა – 2014-2018 წლებში, ყოველწლიურად ხორციელდებოდა 7 ღონისძიება (წელიწადში 3800-მდე ახალგაზრდა, ბიუჯეტი 380 000 ლარი): ფორუმი „რეგიონის განვითარება და ახალგაზრდობის როლი", „ახალგაზრდობის კლუბების მხარდაჭერა (ჩატარდა 5 სახეობაში: ლიტერატურული კლუბი, სადისკუსიო კლუბი, გამომგონებელთა კლუბი, ხელოვანთა კლუბი და შშმ პირთა ჩართულობის კლუბი, ყოველწლიურად ჯამში 44 აქტივობა), ინტელექტუალური თამაშები, ახალგაზრდული საზაფხულო ბანაკი, ლიდერთა სკოლა, „მხიარული რეგიონი".

**2019 წელს შეიქმნა სსიპ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი.** სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტიდან აღნიშნული მიმართულება გადავიდა ახალგაზრდობის რეგიონულ ცენტრში. ექვსივე მუნიციპალიტეტთან ერთად, ქობულეთსაც მინიჭებული აქვს კვოტები. სს(ი)პ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი ახორციელებს შემდეგ პროგრამებს: არაფორმალური განათლებისა და თავისუფალი დროის სწორად მართვის ხელშეწყობა (ბიუჯეტი 483 000 ლარი). ახალგაზრდული ცნობიერების ამაღლება და მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობა (ბიუჯეტი 166 450 ლარი), კარიერული განვითარებისა და ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა (ბიუჯეტი – 219 700 ლარი), ახალგაზრდობის ინტელექტუალურ-კულტურული განვითარების მხარდაჭერა (ბიუჯეტი 184 000 ლარი), სტრატეგიული დაგეგმარებისა და ეფექტური კომუნიკაციის ხელშეწყობა (ბიუჯეტი 65 000 ლარი).

**2020 წელს ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე, ქვეყანაში არსებული რეგულაციების გათვალისწინებით, სსიპ ახალგაზრდობის რეგიონულმა ცენტრმა განახორციელა შემდეგი პროგრამები:** არაფორმალური განათლებისა და თავისუფალი დროის სწორად მართვის ხელშეწყობა (ბიუჯეტი 113 310 ლარი), ახალგაზრდული ცნობიერების ამაღლება და მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობა (ბიუჯეტი 170 054 ლარი) და ახალგაზრდობის ინტელექტუალურ-კულტურული განვითარების მხარდაჭერა (ბიუჯეტი 90 103 ლარი).

**მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით ქობულეთის მუნიციპალიტეტში შემდეგი ღონისძიებები გატარდება:**

- უზრუნველყოფილი იქნება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ინსტიტუციების ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა;
- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის;
- ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები: 2022 -2025 წლებში გაგრძელდება პეტრას ციხის რეაბილიტაცია და ინფრასტრუქტურული განვითარება (1 მლნ ლარი). 2022-2023 წლებში ხინოს ნაეკლესიარის სრული აღდგენითი სამუშაოები (100 ათასი ლარი);
- 2022-2025 წლებში ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ძეგლების საპროექტო დოკუმენტაციისა და სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა 600 ათასი ლარი;
- 2021 წელს დაგეგმილია ა(ა)იპ ქობულეთის სახელოვნებო სკოლის რეკონსტრუქცია – 450 ათასი ლარი;
- 2021-2022 წლებში განხორციელდება კულტურის სახლების რეაბილიტაცია სოფლებში: ხუცუბანი (1 მლნ 50 ათასი ლარი ); ქაქუთი (2 მლნ ლარი); დაგვა (2 მლნ 100 ათასი ლარი); ხალა (1 მლნ 500 ათასი ლარი);
- 2020 წელს გაფორმებულია ხელშეკრულება ქ. ქობულეთში არსებული ბიბლიოთეკის შენობის რეაბილიტაციის შესახებ – 262, 5 ათასი ლარი;
- გაგრძელდება სპორტის მასობრივი და მაღალი მიღწევების მქონე სახეობების განვითარება;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა პოპულარიზაციას;
- ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდებისსპორტული შესაძლებლობების გამოსავლენად, გაგრძელდება წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობა და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნა;
- **გაგრძელდება სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია:** ქობულეთში, რუსთაველის ქუჩაზე არსებული „ორმოს" სტადიონის რეაბილიტაცია (157,5 ათასი ლარი); ქ. ქობულეთში, ჭავჭავაძის ქუჩაზე არსებული სტადიონის რეაბილიტაცია (282 859 ლარი); ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ალამბარში არსებული სტადიონის რეაბილიტაცია (622 849 ლარი); ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუცუბანში არსებული სტადიონის რეაბილიტაცია (130 ათასი ლარი); სოფელ ალამბარში არსებული სტადიონის რეაბილიტაცია (622,8 ათასი ლარი); სოფელ კვირიკეში მინი სტადიონის მშენებლობა (84 ათასი ლარი); ქაქუთში სპორტული მოედნის მოწყობა;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას;
- განხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები.

# ᲩᲔᲛᲝ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲔᲑᲝ!

ჩემთვის დიდი პატივია ასეთი ლამაზი ქალაქისა და ხალხის სამსახურში ყოფნა. ამავე დროს, ქობულეთის მერობა დიდი პასუხისმგებლობა და სიამაყის საფუძველია.

ქობულეთი ყოველთვის იყო ეკონომიკური აქტივობისა და ტურიზმის ერთ-ერთი მძლავრი ცენტრი. ჩვენი მიზანია, კიდევ უფრო მეტი კონკრეტული ნაბიჯი გადავდგათ, რათა ქობულეთმა შეინარჩუნოს ეს მნიშვნელოვანი როლი, ავითვისოთ ყველა რესურსი და შევქმნათ ეკონომიკური მიზიდულობის ახალი, მსხვილი ცენტრები, რადგან ეკონომიკური აქტივობის გაძლიერება, პირდაპირ გულისხმობს ახალ სამუშაო ადგილებსა და თითოეული ოჯახის კეთილდღეობას.

გვაქვს კონკრეტული გეგმა, თუ როგორ ვაქციოთ ქობულეთი ეკონომიკურად უფრო განვითარებულ და ტურისტულად კიდევ უფრო მიმზიდველ მუნიციპალიტეტად, რაც ერთობლივი ძალისხმევით ნამდვილად შესაძლებელია.

მჯერა, ერთად ქობულეთის უკეთეს მომავალს შევქმნით!

ერთად აუცილებლად გავიმარჯვებთ!

**„ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:**

- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;

- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;

- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;

- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;

- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;

- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;

- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.